№ 193

კვირა, 11 სექტემბერი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 193

კვირა, 11 სექტემბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.



## „ივერია"

გამოდის 1894 წელს

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,
**„ივერიის" რედაქციას**
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

კვირას, 11 სექტემბერს
სახელმწიფო თეატრში
წარმოდგენას გაჰმართავს
**ნ. ა. კოზლოვი,**



რომელიც ამ ქამად ჩიკაგოდგან ჩამოვიდა ტფილისში ცოტაოდენს ხანს და შემდეგ ოეირანში წავა. ნ. ა. კოზლოვი, რომელსაც ტფილისის საზოგადოება კარგად იცნობს, დღეს გამართავს დიდს და ფანტასტიურს წარმოდგენას თვალთმაქცობისას. ეს წარმოდგენა მეტად საყურადღებოა, მით უმეტესად, რომ გამართული იქმნება ღია სცენაზედ და არავითარი დასახმარებელი მოწყობილება არ იქმნება გამართული.

ბილეთების ყიდვა შეიძლება სახელმწიფო თეატრის კასსაში, დილის 10 საათიდგან.
დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ.
(1—1698—1)

კბილის ექიმი
**ვ. ი. ჭიჭინაძე**
(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4-დგან 6 საათამდე.

რთულ და ძნელ სადოსტაქრო საქმის, ოპერაციის დროს ისწრებს ექიმს ი. ელიაშვილს. (4—6—3)

**ქუთაისში**

ს. ი. ოცხელის სასწავლებელში და საყმაწვილო ბაღში მიიღება ბავშვები ორივე სქესისა 5—7 წლამდის 5 მან., 7—9 წლამდის 10 მ.
(5—1688—3)

18 სექტემბერს, კვირას, დილის 10 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში, მოხდება ქართულ დრამატიულ საზოგადოების

**წლიური კრება**

განსახილველი საგნები:

1, წარსულ წლის ანგარიში; 2, ხარჯთ-აღრიცხვა-მომავალის წლისა; 3, არჩევა მმართველობის ზოგიერთ წევრებისა და იმათ კანდიდატებისა; 4, არჩევა სარევიზიო კომმისიის წევრებისა 5, მოხსენება მომავალს სეზონის შესახებ.

(3—მ—1)


## ტფილისი, 11 სექტემბერი

ფოთის ხმოსანთა კენჭის ყრამ დაამტკიცა, რომ ჩვენს ხალხს, როდესაც თვალ-წინ რაიმე ნივთიერი საგანი აქვს გასარჩევად, ჩინებულად ესმის, როგორ უნდა მოიქცეს.

ამ შემთხვევაშიც ფოთის კენჭოსნებმა ნათლად დაინახეს, რომ ნავთსადგურის გაკეთება აუცილებლად საჭიროა ქალაქის არსებობისათვის და ყოველივე, რაც უშლის ამ საქმეს, გულ ახდილად დაჰგმეს. ფოთელებს იმედი აქვთ, რომ იმათ ქალაქში ნავთსადგურის აშენება მჭიდროდ შეკავშირებულია ბ-ნის ნიკოლაძის არჩევასთან ფოთის ქალაქის თავად და ამიტომ აქ დას-დასობამ თავი დაჰხარა საზოგადო სარგებლობის წინაშე და აირჩიეს ის, ვისგანაც მოელიან, რომ ფოთის ნავთსადგურის გაკეთებას უფრო მარჯვედ და შეგნებულად დაეხმარება.

ზევით ჩვენ ვსთქვით, რომ როდესაც რეალური ინტერესი აქვს ჩვენს ხალხს გადასაწყვეტად, იგი საუმჯობესო გზას მონახავს ყოველთვის და ეს მართლა რომ ჭეშმარიტია. ამ აზრს ამტკიცებს ჩვენი ეროვნული ისტორია, ჩვენი ორი ათასის წლის ბრძოლა საზოგადო მტერთან, ჩვენი სიმტკიცე გასაჭირში და ჩვენი გასაოცარი ენერგია, როდესაც-კი ნამდვილი განსაცდელი დასდგომია საქართველოს ერს.

მაგრამ ამ ძვირფასს ნიჭსა და თვისებას ქვეყანა მაშინ გამოიჩენს, როდესაც მარტივად, თვალ საჩინოდ აქვს წარმოდგენილი სიკეთე, თუ სიავე თითოეულის საქმისა, რომლისთვისაც საჭირია ბრძოლა, თავ-განწირვა. ხოლო სულ სხვა სურათსა ვხედავთ, როდესაც საგანი სადაო ბრძოლისა არ არის ისეთის ხასიათისა, რომ ადვილად იქმნას შეთვისებული, ადვილად გაიგებოდეს და აიწონებოდეს; ერთის სიტყვით, ისეთი საგანია, რომელსაც უფრო თეორიული ხასიათი აქვს და კეთილი ნაყოფიც იმისაგან დღეს და ხვალ-კი არ არის მოსალოდნელი, არამედ მთელი წელიწადები უნდა უცადო, რომ დარწმუნდე შენის თვალით კარგი ყოფილა, თუ ცუდი ის საქმე, რომლის გამო საზოგადოებაში ბაასი და წინააღმდეგობაა ატეხილი.

ამით ჩვენ ის გვინდა ვსთქვათ, რომ თუ დღეს ჩვენში დას-დასობას მაგრად მოუკიდებია ფესვი, თუ ამ უბედურის განხეთქილების წყალობით, რომელიც დღეს არის ჩამოვარდნილი საქართველოში, უმთავრესი ჩვენი მოვალეობაც-კი გვავიწყდება და საუკეთესო ქვეყნის ღონე ერთი მეორეს ლანძღვასა და ჩხირ-კედელაობას მონდომებია — ყოველი ესე იმისი ბრალია, რომ პოლიტიკურად არა ვართ ასული იმ სიმაღლემდის, რომ მცირეოდნადაც რთული საგანი მარტივად გავიხადოთ, საზოგადო სარგებლობის წინ ყველამ ერთიანად მოვიხაროთ თავი და ერთსულად ვიმოქმედოთ.

ფოთის 8 სექტემბრის არჩევანმა, როდესაც ყველასათვის ცხადად სჩანდა, საით უნდა გადაწყვეტილიყო კენჭოსანთა სასწორი, დაამტკიცა, რომ საერთო მოქმედებისათვის ჩვენს ხალხს საჭირია შეგნება თითონ საგნისა და რაკი გაიგებს ნამდვილს გარემოებას, უეჭველია ისე მოიქცევა, როგორც ქვეყნის ჭეშმარიტი სარგებლობა მოითხოვს.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ვერა რომელი ოინი და ოსტატობა, თუ ხალხს ნათლად აქვს დანახული საქმე, ვერ გასჭრის, რადგანაც ქართველმა კაცმა თავისის სარგებლობის დაცვა, როდესაც დასჭირდება, კარგად იცის.

დღეს თუ ცხოვრებაში ხერხიანობას, რომელსაც ფრანგები პირუტყვის ჭკუას უწოდებენ, ფასი სძევს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ საზოგადოებას არა აქვს შეგნებული კარგად სარჩიელი საგანი, თავისი სარგებლობა და ზარალი.

ყოველ შემთხვევაში ფოთის კენჭოსანთა საქციელი ისეთი თვალსაჩინო მაგალითია საზოგადოდ, რომელსაც, უთუოდ გამომათხიზლებელი გავლენა ექმნება სხვა ჩვენს საქმეებზედ და ყველას დაარწმუნებს, რომ იქ, სადაც ჭეშმარიტი საქვეყნო ინტერესებია წარმომდგარი, დას-დასობამ თავი უნდა მოიხაროს და საერთო სიკეთის მისაღწევად ძმურად მისცეს ხელი ერთმანეთს.

მეველე

## დეპეშა

7 სექტემბერი*)

**ლონდონი.** ოფიციალური დეპეშა იაპონელთა იუწყება, რომ იაპონიის ლაშქარი შემოერტყა ჩინელთა

*) ეს დეპეშა ჩვენ თავის დროზე არ მოგვსვლია და ამიტომ არ იყო დაბეჭდილი გუშინდელ „ივერიის" №-ში.

## ფელეტონი

### ნაწყვეტი

ლამაზო, ჩვენო ქვეყანავ,
ნაქარგო ყვავილებითა,
შემკულო ტყალა-მინდვრებით,
მორთულო დიდის მთებითა;
მოგეზრდებიან ლომ-გმირნა,
მგლებს ამოჭყლეტენ ხმლებითა,
და მაშინ მაღლა ღმერთიც კი
შენ მოგიხსენებს ქებითა!..

დ. მაჩხანელი

### „მოამბის" მორალისტები

შ. არაგვისპირელი: „და და ძმა" № II, ანასტ. ერისთვისა: „ლაზარემ გადააჭარბა" № V, დ. ერისთავი: „ვისი ბრალია? № VI და VII.

ვინ არ იცის, რა დავა არის ატეხილი ეგრედ წოდებულს „წმინდა ხელოვნებისა" და „ზნეობრივის ხელოვნების" მიმდევართა შორის. პირველნი ამტკიცებენ, რომ ლიტერატურაა, თუ მხატვრობა, ქანდაკებაა, თუ მუსიკა, მათ მხოლოდ ერთი საგანი აქვთ: სიმშვენიერის გამოხატვა და მეტი არაფერიო. ამ სიმშვენიერედ უმეტესი ნაწილი ამ მოძღვრების მიმდევარისა იგულისხმებს მხოლოდ გარეგანის ფორმის სიმშვენიერეს: თუ პოეზიაა, მუსიკალურს ლექსებს და რითმათა სიმდიდრეს; თუ პროზაა, კარგად შეთხზულს ფრაზებს, რომელნიც თავისის სიმშვენიერით ლექსებს ემსგავსებიან, და კარგად დახატულს სურათებს ბუნებისას, ტიპების მკაფიოდ გამოხატვას და იმათ სულიერთვისებას ხელოვნურად გამოაშკარავების. ამათ აზრი—იდეა უკანასკნელად მიაჩნიათ. აზრის გამოსათქმელად ფილოსოფია და მეცნიერება გვაქვსო, ჩვენ მქადაგებელ პატერებად-კი არ გვინდა მწერლები, არამედ წმინდა ხელოვნების ქურუმებადაო, ნამდვილ არტისტებადაო და სხვანი. მეორენი ამბობენ, რომ ხელოვნების საგანი უნდა იყოს ჩვენი ზნეობის განსპეტაკებაო, ჩვენთა საუკეთესო თვისებათა განვითარება და უვარგისის-კი მოსპობაო. ზნეობრივს ნიადაგს მოკლებული ხელოვნება დიდხანს ვერ იცოცხლებსო.

ამათ ჰგონიათ, რომ პოეტი და საზოგადოდ მწერალი სწორედ მოძღვარი და მქადაგებელი უნდა იყოსო. ეს თეორიები შედგენილია თხზულებების შემდეგ და არც ერთი მწერალი ნიჭიერი და გრძნობიერი ამ თეორიებით არ ხელმძღვანელობს. ყოველი დიდი მწერალი ყოველთვის დიდი მორალისტი ყოფილა. მხოლოდ პატარა, ცრუ-პოეტები და ცრუ-მწერლები ხელმძღვანელობენ ამა თუ იმ თეორიით. პირველთ გატაცებამ ფრანგული ეგრედწოდებული «პარნასელი» პოეტები დაჰბადა, რომელნიც, გარდა რითმის სიმშვენიერისა, არაფერს ყურადღებას არ აქცევდნენ, და მეორე თეორიის მიმდევრები-კი ათასობით მოიძებნებიან სხვა-და-სხვა რუსულს ჟურნალებში, რომელნიც დიდის სიამოვნებით დაჰბეჭდავდნენ ყოველივე ხელოვნება მოკლებულს თხზულებას, ოღონდ-კი იმ ორგანოსაგან აღიარებულის აზრების მქადაგებელი ყოფილიყო.

არც ქართული ლიტერატურა ასცილებია ამ კამათობას ლიტერატურის ორ სხვა-და-სხვა წარმომადგენელთა შორის, თუმცა უფრო მასხრობას წააგავდა იგი, ვიდრე კამათობას. მაგალითად „ცისკრის" ნომერში თქვენ ნახავთ ვიღაც ქართველ „პისარევის" კრიტიკას, რომელიც თ. ბარათაშვილის „მთაწმიდაზე შემოღამებას" ჩირადაც არ აფასებს, კუჭს არ მიძღობსო. არ დაივიწყოთ ეს ზრუნვა კუჭისათვის. ამგვარი უცნაური აზრი სამოციან წლებში რუსეთში ბევრ ჩვენ კრიტიკოსზე უწარჩინებულესს წარმოუთქვამს, სწორედ ამ გვარივე აზრზე არის აგებული ნეტარ-ხსენებულ „სანდალას" კრიტიკა მთელის ჩვენის ლიტერატურისა, რომელსაც ეკონომიური და სოციალური ბრძოლა ლიტერატურაში გადააქვს და აფასებს ლიტერატურულს ნაწარმოებს იმისდა მიხედვით, თუ რომელ წოდების წევრს ეკუთვნის იგი. ასე იყო, თუ ისე, სიღარიბეა, თუ სიმდიდრე ჩვენის ლიტერატურისა არ ვიცი, მაგრამ ეს კია, რომ ჩვენს ლიტერატურას არა ჰქონია სამოციან წლებიდგან არც ფრანგულ „პარნასელების" მსგავსი პოეზია და არც რუსულ მწერლებისთანა პროზა (მე აქ რუსეთის ის მწერლები მყავს მხედველობაში, რომელნიც აზრს ყოველსავე ხელოვნებას ანაცვალებენ), თუ მხედველობაში არ მივიღებთ ფელეტონის ლიტერატურას.

თ. ილ. ჭავჭავაძის პროზა და პოეზია, თავ. აკაკი წერეთლის სალირიკო პოეზია და უკანასკნელად ა. ყაზბეგის პროზა მდიდარი არის, როგორც ფორმით, ისევე შინაარსით, აზრით. მხოლოდ უკანასკნელის ათის წლის განმავლობაში გამოჩნდნენ ახალგაზრდა მწერლები, რომელთაც იმას-კი ვერ შევსწამებთ, რომ აზრის მეტი არა მოეპოებოდეთ რა, მაგრამ ის-კი უნდა ვსთქვათ, რომ აზროვნებითი მხარე მათის ნაწარმოებისა სჩრდილავს გარეგანს მხარეს, ფორმის სიმშვენიერეს და მარტო თავისის აზრებით არის

გამაგრებულ ბანაკს კორჯს და 15 სექტემბერს, შემდეგ სასტიკის ბრძოლისა, ერთიანად დაამარცხა ჩინელნი, დაიჭირა ფიანჰიანგი. ჩინელთა ლაშქარი ოცი ათას კაცს აღემატებოდა. ჩინელებს გამოაკლდათ ჯარიდგან ჩვიდმეტი ათასი კაცი, რომელთა შორის თოთხმეტი ათასი ტყვედ დაირჩინეს იაპონელებმა. დატყვევებული არის ხუთი ჩინელი გენერალი. ტყვეებს იაპონიაში ჰგზავნიან.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია კანონდებულება იმის შესახებ, რომ საგუბერნიო მმართველობათ უნდა აწარმოონო საქმე ფულის მფლანგველების მზრუნველების დანიშვნისა, თუ ეს ფულის მფლანგველნი ქალაქის მცხოვრებელნი არიან და ვაჭართა და მკვიდრ მცხოვრებელთა შორის არ არიან ჩარიცხულნი, თუ საპატიო მოქალაქენი არიან და ვაჭართა შორის-კი არ ითვლებიან და თუ საპატიო მოქალაქის უფლებანით სარგებლობენ; იმ გუბერნიებში, სადაც უმთავრესნი უფროსნი არიან დანიშნულნი, ეს საქმე საბოლოოდ ამ უფროსთ უნდა გადასწყვიტონ.

**ბერლინი.** მემკვიდრე ცესარევიჩი დღეს ტორნიდგან დარმშტადტს წავიდა.

**ლონდონი.** იაპონიის ჯარი ეხლა მიდის მუკდენისკენ მდებარე სასაზღვრო ქალაქ ვიტსის, რომელიც მანჯურიის დედა-ქალაქია. აქ იმ აზრისანი არიან, რომ იაპონელები ამ ქალაქში ამ თვის დამლევს მივლენო.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 10 სექტემბერს, ტფილისში დეპეშა მოვიდა, რომ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ბათუმში მობრძანდა და იმავე დღეს ბორჯომს წავიდაო.

*** კავკასიის რკინის გზის უფროსის თანაშემწის კორშის მკვლელის გარშენინის საქმე სამხედრო სისხლის სასამართლოშია დანიშნული გასარჩევად ორშაბათს, 12 სექტემბერს.

*** ფოთი. ღვთის-მშობლობა დღეს ფოთში ხმოსნების არჩევანი მოხდა: არჩეულ იქმნა ხმოსნად ბ-ნი ნიკოლოოზ ნიკოლაძე, რომელსაც მოუვიდა თეთრი—193 და შავი—17. ხოლო წინააღმდეგი დასის წარმომადგენელი ბ-ნი იონა მეუნარგია მთელისს თავის მოხრეებით ერთიანად გააშავეს ფოთელებმა. სამაგიეროდ ბ-ნის ნიკოლაძის მომხრენი დიდის უმრავლესობით აირჩიეს მეკენჰეებმა.

*** უწმ. სინოდს მიუვიდა ერთის ქველის-მოქმედ მანდილოსნისგან შესაწირავი სამასი ათასი მანეთი. ამ ფულიდან სინოდმა დაუნიშნა 5 ათასი მანეთი წმ. ნინოს მონასტერს და 2 ათასიც წინამ-ძღვარიანთ კარის სკოლის ეკკლესიას.

*** 7 სექტემბერს ღამე მამა ანტონის მონასტერში და მის მახლობლად კარგა დიდი თოვლი მოვიდა და მხოლოდ სალამოზედ დადნა. საავგარაკოდ მოსული ხალხი ძალიან შეშინდა ამ მოულოდნელი შემთხვევით და ყველანი საჩქაროდ წამოვიდნენ მონასტრიდგან.

*** ამ ბოლოს დროს ტფილისში ძლიერ გავრცელდა ყალბი ქაღალდის ფული (თუმნიანები); თუმცა ადვილი შესატყობია ამ ფულის სიყალბე, მაგრამ მაინც ახერხებენ იმის გასაღებას. ყველა ქაღალდის ფულს ასოები A. Ф. აქვს და № 647231 აწერია.

*** დღეს, 11 სექტემბერს ტფილისის პირველ გიმნაზიის დირექტორი დ. ს. ს. ლ. ლ. მარკოვი დღესასწაულობს 25 წლის იუბილეის თავის დირექტორობისას.

*** კავკასიის წყლების ინსპექტორი ფონ-ვეისენჰოფი მოსკოვიდგან ტფილისს დაბრუნდა.

*** გუშინ ტფილისში ჩამოვიდა პეტერბურგიდგან მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის შტალმეისტერი თავ. კ. ა. გორჩაკოვი.

*** ხმოსანი ბაზოვი სთხოვს ქალაქის მოურავს, ქალაქის გზატკეცილები ქვით დაჰფინეთ და ასფალტით ამოავსეთ ფოსოები, ქვიშის მაგივრად, რომ ტფილისში ისეთი საშინელი მტვერი აღარ იყოსო.

*** მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს თურმე განზრახვა აქვს გადასდოს საჭირო ფული, რომლის შემწეობით შესაძლებელი იქმნება უფრო რიგიანად მოაწყონ სასოფლო სამეურნეო კურსები საერო სკოლების მასწავლებელთათვის და აგრეთვე შემწეობა აღმოუჩინონ ამ მასწავლებლებს კურსებზედ სიარულისთვის.

*** 8 ოქტომბერს ტფილისის ოლქის სასამართლო განიხილავს თავადის გიორგი ამილახვარის, თავადის დავით ერისთვის, ნიკოლოოზ გარსევანოვის და ხატა ინილოვის საქმეს, რომელთაც ბრალდებათ, რომ ელისაბედ ტერ-აკოფოვის ასულის მოტაცება უნდოდათ.

*** ასტრახანში ხმა დადისო, რომ ბ-ნი ფითოევი ერთ მილიონ მანეთს აძლევს ს. მ. ლიონოზოვის მემკვიდრეს ბ-ნს ლონოზოვსავე, და სთხოვს მე გადმომეცი ის წყლები, რომლებიც იჯარითა გაქვს აღებული სპარსეთის მთავრობისაგანაო. ბ. ლიონოზოვს უწინდელ პირობის ძალით ოთხის წლის განმავლობაში უნდა ჰქონდეს ეს წყლები იჯარით და ახალის პირობით კიდევ 2-ს წლის ვადით აუღია.

*** პოლიცია ამ ჟამად დაეძებს სულით ავადმყოფ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს კონსტანტინე საფაროვს, რომელიც უსახლკაროდ დადიოდა ქალაქში. რადგანაც საფაროვი ამ სამის კვირის განმავლობაში ვერ იპოვნეს, ამიტომ გუშინ ყველა მაზრის უფროსებს ბრძანება გაუგზავნეს იმის მოსაძებნად.

*** გუშინ 9 სექტემბერს, ვარანცოვის ძეგლთან შემდეგი უბედურობა მოხდა: ცხენით კუკიაში მიდიოდა არტილერიის კაპიტანი ნიკოლოოზ ბაუმგარტი, რომელსაც ცხენი დაუფრთხა, ცხენიდგან გადმოვარდა და თავი გაიტეხა. კაპიტანი გულ-წასული, ცოცხალ მკვდარი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც მეორე დღეს ძლივს მოაბრუნეს და დაუწყეს წამლობა.

*** გუშინ, 10 სექტემბერს, კოჯორში დახურეს დროებითი გამართული ფოსტა და დეპეშის განყოფილება, რადგანაც ვინც-კი იყო იქ საავგარაკოდ, ყველანი ქალაქში დაბრუნდნენ. გუშინვე კოჯრიდგან დაბარებულ იქმნა კოჯრის დროებითი პოლიციის ბოქაული ბ-ნი გლებოვი.

*** კავკასიის რკინის გზის უფროსი ინჟინერი ა. ი. ფრიდე გუშინ ტფილისიდგან ბათუმს წავიდა.

*** თავადის ორბელიანის ასულს სოფიოს ებოძა ფრეილინობა („ნოვ. ობოზ.“)

*** ხაშური. 8 სექტემბერს, საღამოს 6 საათზედ ბორჯომიდგან მომავალ მატარებლიდგან გადმოვარდა გორის მაზრის სოფ. ახალქალაქის მცხოვრები იაკობ ხოჯაბეგოვი, 25 წლისა და ძლიერ დაშავდა. დაშავებულს იქვე რკინის გზის ექიმებმა დახმარება აღმოუჩინეს და სახალხო მატარებლით ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

*** უწმიდესს სინოდს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ამ ჟამად მოლაპარაკება აქვთ იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა იქმნას მოგროვილი ფული ეკკლესიის ასაშენებლად. როგორც ტფილისის გუბერნატორის მიერ მიღებულ ქაღალდიდგანა სჩანს, ამ ფულის მოგროვებაში მრავალი უწესოებაა. ბევრნი აგროვებენ ფულს ვითომ ეკკლესიების ასაშენებლად, მაგრამ მოგროვილ ფულს თითონვე ჰხმარობენო. ტფილისის გუბერნატორმა ამის შესახებ თავისი აზრი წარუდგინა ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრს.

*** ტყიბულიდგან გვწერენ, რომ იქ ცეცხლი გაჩენილა და ამიტომ უფროსმა ინჟენერმა შახტები დაჰკეტა. მუშაობა შეჩერებულია.

### ოფიციალური ცნობანი საფილოქსერო დასთა კავკასიაში მოქმედების შესახებ.

სიღნაღის საფილოქსერო დასმა გასინჯა ვენახები სოფ. ფშაველში, ლალის-ყურში, მაღრაანში, ბაზანეურში, შილდაში, ნაფარეულში, თელავის მაზრისა სოფ. ახაშენში და ჩუმლაყში; სულ გასინჯულია 605 ვენახი, რომელიც შეადგენს 445 დესეტინას, გასინჯულია 33,642 ვაზი, რაც შეადგენს $1/4$-დგან $2^0/_0$-მდე ნაწილს ყველა ვენახების ვაზებისას. ფილოქსერა არსად აღმოუჩენიათ. ივლისის თვეში საშინელი სიცხეები და გვალვა იყო, რის გამოც მილდიუ არ გავრცელდა, მაგრამ ვაზს ზრდა მოაკლდა; ნაცარი-კი მეტი ჰქონდა ყურძენს და ვენახის პატრონების სიტყვით, გვალვიან წელიწადში ნაცარი საშინლად ანადგურებს ყურძენს.

თიანეთ-თელავის საფილოქსერო დასმა გასინჯა ვენახები სოფ. ურიათუბანში, აწყურში და თოღნიანში, თელავის მაზრისა და სოფ. ახმეტაში; სულ გასინჯულია 382 დესეტინა ვენახი და 26,396 ვაზი. ფილოქსერა არ აღმოუჩენიათ. მაისში და ივნისში ვენახები კარგს მდგომარეობაში იყო, მაგრამ საკმაოდ დაზარალდა სიცხისა და გვალვისაგან: ვაზს ფოთლები დაუყვითლდა და ჩამოსცვივდა, რის გამოც ყურძენი დროზედ არ დამწიფდა. გარდა ამისა დაბალ ადგილებში ვენახები ნაცარმა წაახდინა. გვალვისავე გამო ყურის მოსავალიც ნაკლებია, სიმინდი მხოლოდ სარწყავ მიწებში მოვიდა, სხვაგან სიმინდიცა და ფეტვიც გახმა სიცხეებისა და გვალვისაგან.

გორისა და დუშეთის საფილოქსერო დასმა გასინჯა ვენახები გორის მაზრის აღმოსავლეთის მხარეს, სოფ. მეტეხში, ბარნაბიანთ-კარში, სასირეთში, გომში, ქვემო-ხანდაკში, ქსოვრისში, ზემო და ქვემო-ნიჩბისში, სასხორში, ხეკორძში, ყარაღაჯში, გრაკალში, ჩოჩეთში, კავთის-ხევში, ჩივაანთ-კარში, წინარეხში, თელათგორში, გომი-ჯვარში, ლამისყანაში, ხვითში, აღაიანში, ჭერემულში და მეგვში. დუშეთის მაზრაში გასინჯეს სოფ. მცხეთაში, წინა-დუშეთში, ბაზალეთში, გორში, ჩინთაში, ზემო და ქვემო-არაგვის-კარში, ეთვალისში, არანისში, ბიჭინგაურიანთ-კარში და ბუღაჩაურში. სულ გასინჯულია 3,109

---

მიმზიდველი. აიღეთ რომელიც გინდათ მოთხრობა მოხუბარიძისა. იგი დააკმაყოფილებს ყოველს წმინდა ხელოვნების თაყვანისმცემელს ისევე, როგორც მორალურ ხელოვნების მიმდევარს. აიღეთ, რომელიც გინდათ, პოემა თ. ჭავჭავაძისა: იგი აღტაცებაში მოიყვანს ორივე ბანაკის მწერლებს. გადაათვალიერეთ საუკეთესო სალირიკო ლექსები თავ. წერეთლისა, იგი აღიტაცებს «პარნასელს» პოეტს და რუსეთელ მწერალს, რომელიც აზრის მეტს არას დაეძებს არც ლექსში და არც პროზაში. ეხლანდელი ჩვენი მწერლები-კი მხოლოდ უკანასკნელთ დააკმაყოფილებენ და პირველთ-კი ათქმევინებენ „თავის უარესს სჯობიაო“. მხოლოდ ერთად-ერთი ბ-ნი შ. არაგვისპირელი განირჩევა მათგან. იმის ნაწარმოების ხელოვნებასაც აღტაცებაში მოჰყავხართ ყოველთვის და თუ ეს არ ითქმის იმის ზემოხსენებულ დიდ მოთხრობის შესახებ, ამის დასარწმუნებლად საკმაო გადაათვალიეროთ მისი პატარა მოთხრობანი.

სწორედ მისთვის, რომ ზემოხსენებული მწერლების მოთხრობების ზნეობრივი მხარე უფრო მეტს ყურადღებას იწვევს, მე მათ ვუწოდე მორალისტები. მაგრამ მორალისტებიც განირჩევიან ერთი-მეორისაგან. არიან თეოლოგიური მორალისტები, რომელნიც თავისს მორალს ამყარებენ სარწმუნოებაზედ; არიან მორალისტნი მეტაფიზიკოსნი, რომელნიც მორალს მეტაფიზიკაზედ ამყარებენ, და არიან დამოუკიდებელნი მორალისტნი, რომელნიც მორალს დამოუკიდებელს ჰყოფენ, როგორც სარწმუნოებისაგან, ისე მეტაფიზიკისაგან. ზნეობრივი-მოვალეობის აუსრულებლობას პირველნი სჯიან ღვთის რისხვით; მეორენი სინიდისის ქენჯნით „მოვალეობის არ ასრულებისათვის“ და მესამეთ-კი (უმეტესს მათგანს მაინც) მიაჩნიათ სასჯელად ეგრედ წოდებული საზოგადოებრივი (სოციალური) რეაქცია. ამათის აზრით ყოველისავე მოვალეობის აუსრულებლობა იწვევს საზოგადოების უკმაყოფილებას, რომელიც იმით თავდება, რომ დამნაშავეს სჯის იგი, სულ ერთია სასამართლოს, თუ რომელისამე თავის წევრის შემწეობით.

შ. არაგვისპირელი და თ. ერისთავი ეკუთვნიან „დამოუკიდებელ“ მორალისტებს, ანასტასია ერისთავისა კი სარწმუნოებრივ-თეოლოგიურ მორალისტს *). პირველნი მისდევენ იმავე მორალს, რომელსაც მისდევს დიუმა-შვილი თავისს შესანიშნავს კომედიებში, მეორეს-კი ის გზა აურჩევია, რომელსაც პოლ ბურჟე მისდევს თავისს უკანასკნელს მოთხრობებში.

შ. არაგვისპირელის მოთხრობის სიუჟეტი, მოკლედ რომ ვსთქვათ, აი ეს არის: გლეხს ქიტუას ჰყავს ძალიან ლამაზი ცოლი სოფიო. ეს ქიტუას მეორე ცოლია. სოფიოს გაუარშიყდება მისი შვილის მომნათვლელი ნიკო, სოფლის მწერალი, და კიდეც დაუკავშირდება. ერთ დღეს ქიტუა შეასწრებს ნიკოს თავისს ცოლთან და ხანჯლით აჰკეპავს. „ჰა!.. ჰა!.. ჰა!.. ეგაა!.. ჩემი შვილები!.. კატო... გიგლა... კატო... გიგლა!. ხითხითებდა გამხეცებული ქიტუა და თან გამხლარტულ ნიკოს გვამს ხანჯლით ჰკეფავდა...“ ნიკომ ჩაუშალა ქიტუას ოჯახის ბედნიერება. ნიკომ გაურყვნა ცოლი და ოჯახი. ნიკო დაისაჯა. საზოგადოება, რომლისთვისაც ოჯახის წევრების პატიოსნება დიდად საჭიროა, სჯის თავისს წევრის ქიტუას ხელით, იმის წეს რიგის უარის-მყოფელს, ოჯახის ბედნიერების დამარღვეველს — სოფლის მწერალს. მოთხრობაში ისიც ნათლად არის ნაჩვენები, თუ საზოგადოებას რა აკლდება ამ გვარის ქცევით. სოფიოს არშიყობა ისე გაიტაცებს, რომ საწყალი ბავშვები, რომლის მოვლაც ვალად სდევს, სრულიად მოუვლელად და თვალყურის უგდებლად ჰყრიან. ბოლოს მათ სადღაც მთლად გადაჰკარგავს მამა. ამ მოთხრობაში საზოგადოებრივი რეაქცია ნაჩვენები.

თ. დ. ერისთვის მოთხრობის შინაარსი შემდეგია: დათიკოს ჰყავს ლამაზი ცოლი ნინა, რომელსაც ძალით ნამუსს ახდის და გააუპატიურებს აზნაური ნესტორ უქმიაშვილი, გიმნაზიიდგან გამოგდებული, გარყვნილი ახალგაზრდა. დათიკა ამ სირცხვილს ვერ გაუძლებს, ესვრის თოფს ნესტორს და იქვე გააცივებს. აქაც იგივეა: ნესტორი ისჯება საზოგადოების წინაშე მოვალეობის შელახვისათვის. საზოგადოების წარმომადგენელია აქ დათიკა, რომლის თოფის ტყვია გარყვნილს გულს განუგმირავს ნესტორს. მხოლოდ ჩვენ ეს-კი არ გვესმის, რად დახარჯა თ. ერისთავმა ამდენი მელანი და შრომა! ნუ თუ იმისთვის, რომ გადმოეწერა და შეეკერა ერთად რამდენიმე სცენა განსვენებულის ნინოშვილის მოთხრობებიდგან. ვინ არ იტყვის, წაიკითხავს რა ოთხმოცდა-ათს გვერდს თ. ერისთვის მოთხრობისას, რომ მთელი სიუჟეტი ნასესხებია ზემოხსენებულ მწერლის „სიმონასა“ და «ქრისტინესაგან».

რასაკვირველია, ჩვენ არას ვიტყოდი სიუჟეტის შესახებ, თუ რომ სხვა რაიმე ხელოვნების ისეთი ნაწარმოები სჩანდეს შიგა, რომ თავის სიახლით დ სიმშვენიერით გიტაცებდეთ. მაგრამ არც ეს არის. ტიპების მკაფიოდ გამოხატვასა და იმათის ფსიხოლოგიის გამოაშკარებაში ხომ ყველა ჩვენი

---

*) ჩვენ აქ გვაქვს მხედველობაში ის თხზულებანი ზემოხსენებულის მწერლებისა, რომლებიც „მოამბე“-ში არის დაბეჭდილ.

ავტ.

ვენახი, 948 დესეტინამდე, 10,074 ვაზი, საჭკო და გამხმარი ვაზები ყველგან იყო, მაგრამ ფილოქსერა არსად აღმოჩენილა. ნაცარი და მილდიუ ნაკლებად ყოფილა. 24 ივლისს სოფ. კავთისხევში დაისეტყვა ვენახები და მინდვრები. საზოგადოდ ვაზი ნელა იზრდება და ყურძენიც დროზედ არ დამწიფდა; მოსავალი საშუალოზედ ნაკლებია.

სურამისა და ცხინვალის საფილოქსერო დასმა ივნისში და ივლისში გასინჯა: 1) 10 ვენახი სოფ. ცხინვალში და მის მეზობლად რაც წახდენილია ფილოქსერისაგან. 2) 25% 59 ვენახისა იმავე სოფლისა 37 დესეტინამდე. ვ) 10% ვენახებისა სურამის განყოფილებაში სოფ. ქვიშხეთში, ტაშის-კარში, ბულბულის-ციხეში, მონასტერში, ბელეთში, ტეზერში, საჯავახიანთ-ტემერში, ბეკამში და დაბა სურამში, სულ გასინჯულია ამ სოფლებში 381 ვენახი 85 დესეტინამდე. (4 10% ვენახებისა სოფ. ერგნეთში და ტირძნისში 54 დესეტინამდე. 5) 486 ვენახი სურამის და ხიდისთავის განყოფილების სოფლებში 76 დესეტინამდე, აგრეთვე 447 ვენახი სოფ. ზემნისში, ურბნისში და რუისში 140 დესეტინამდე.

ფილოქსერა აღმოჩნდა 11 ვაზზედ დაბა ცხინვალის ორს ვენახში (რეფსიმე ტერ-სტეფანოვისა და ნიკოლოოზ ქავთარაძის მემკვიდრეებისა), იმ ვენახების მომიჯნავეთ, სადაც შარშან იყო ფილოქსერა. ფილოქსერა სულ ახლად არის გაჩენილი და ძალიან ნაკლებია. ფილოქსერიანი ვაზები მირში მოსჭრეს და დასწვეს და ნიადაგსაც უწამლეს.

## სახელდახელო

(არც ყბად-ასაღები და არც წყალ-წასაღები ამბავი)

ნეტა ეხლა რაღას იტყვიან ჩვენი ქალები?!. ძველად საქართველოში, ბალღმაც-კი იცის, წიგნის მცოდნენი ოჯახში ქალნი იყვნენ, ის „მარად ნეტარნი დედანი“, რომელთაც მზითვადაც-კი ხელთ-ნაწერი „ვეფხის-ტყაოსანი“ მიჰქონდათ ხოლმე და ეს შეადგენდა მზითვის თვალ-საჩინო ნივთეულობას. მას შემდეგ დრონი იცვალნენ, ძველებურმა დიდებამ თავისი ელ-ფერი, თავისი ბრწყინვალება დაჰკარგა, მას შემდეგ „მწველელ ფურად გადვიქციეთ“ თავი ჩვენი, «ის აღარ ვართ, რაც ვიყავით» და რაც ვართ, ის რომ აღარ ვიქმნეთ, დიდი სიკეთე და მადლი იქნება ჩვენის ეროვნების თვით-არსებობისათვის.

დიაღ, დაჰბერა ცხოვრებას ახალმა სიომ და, როგორც პოეტი ამბობს, «ტკბილ-ტაროსი შეგვეცვალა»; ენა აირია, „ვეფხის-ტყაოსნის“ ადგილი პოლ დე-კოკისა და პონსონ დე-ტერაილის რომანებმა დაიჭირა, ისიც გარმიანულს ენაზედ დაწერილმა; ტკბილი ქართული ენა წაირყვნა, ჩვენმა ქალმა სხვა ფრად დაიწყო ღუღუნი, ქართული იუკადრისა, აითვალისწუნა, ივანე „ვანიუხად“ გადიქცა და მარიამი „მაშინკად“.

ამ ცხ... ების „გავანიუხებასა“ და „გატერენტიებას“, რასაკვირველია, ის მოჰყვა, რაც მოსალოდნელი იყო. ქართულს ოჯახებში, მეტადრე ქალაქ ადგილას, სადაც უცხოთა გავლენას უფრო უკეთესი ნიადაგი ჰქონდა, ქართული ენა წაბორძიკდა, დაჩლუნგდა, დაბლაგვდა; ისევ არანასწავლთ ქალთ თუ ჰნახავდით ტკბილის ქართულით, ისიც დროთა ვითარებისა გამო გადუხჭირებულით, მოსაუბრეს, თორემ ნასწავლი ქალი სწავლასთან უეჭველად ქართულსაც ივიწყებდა. საკვირველი ის არის, რომ არც სცხვენოდათ დედა-ენის დავიწყება, თავ-მოსაწონებლად, საქებად მიაჩნდათ, „განათლების ნიშნადა“ სთვლიდნენ. ვისაც ესმოდა რამე და ჰგრძნობდა ამ სირცხვილს, ის კიდევ იმითი ჰმართლულობდა თავს, რომ სასწავლებლებში არ გვასწავლიან ქართულს და საიდგან ვისწავლიდითო.

ამ გასამართლებელს საბუთს რომ ფეხები მოკლე აქვს და სავლელი მანძილი მცირე, ეს ყველასათვის აშკარაა, რადგან ასეთს გარემოებაში ისე უნდა იყოს საქმე მოწყობილი, რომ საძირკველი ქართულს ენას თვით ოჯახშივე ჰქონდეს ჩაყრილი და ყმაწვილი ოჯახშივე სწავლობდეს დედა-ენას საფუძვლიანად და სავსებით. ეს გამართლება მოკლე-ფეხებიანი იყო, მაგრამ მაინც სიტყვის მასალად გამოიყენებდნენ ხოლმე და და «მიზეზ-მიზეზ დოს მარილი» მაინც აკლდა.

ეხლა-კი ინგლისელმა ყმაწვილმა ქალმა, Miss მარჟორი ვარდროპმა, ეს მიზეზიც, ეს თავის გასამართლებელი საბუთიც ჩამოართვა ჩვენს ქართველს ქალებს და ნეტა ვიცოდეთ, ამიერიდგან „მიზეზ-მიზეზობას“ რაღა გაუწევს! ხომ წაიკითხეთ ამ ყმაწვილის ქალის წერილი, ილია ჭავჭავაძეს სახელობაზედ წარმოგზავნილი და შეუმოკლებლად, სავსებით დაბეჭდილი „ივერიის“ მე-191 №-ში. წერილი კარგის ქართულით არის დაწერილი, ისეთის კარგის ქართულით, რომ ნეტა საქართველოს ყველა ყმაწვილმა ქალმა შესძლოს ასე დაწერა.

მერე როგორ უსწავლია ეს ქართული Miss მარჟორი ვარდროპს?. აი რას გვაუწყებს ამ ყმაწვილის ქალის შესახებ ბ-ნი ვ. ვაზიანი, ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტი:

Miss ვარდროპი ყმაწვილი ქალია—სულ ოც-და-ოთხის წლისაა, ხოლო ინგლისელთა აზრით-კი ძალიან ნორჩიც არის; ამასთან იგი დიდად მოხდენილი და თავ-დაჭერილია, რაც ინგლისის საუკეთესო განათლებულ დედათა თვისებას შეადგენს; იგი მეტად წყნარია და ცოტა მორცხვიც-კი, მაგრამ ამ ტანადს, ნარნარს, მოხდენილს, წყნარსა და მორცხვს ყმაწვილს ქალს დიდი ცოდნა აქვს. ცოდნა, საკუთარის შრომითა, სურვილითა და მოწადინებით შეძენილი. მაგალითებრ, ქართული ენა ლიტოგრაფიაში დაბეჭდილ ბროსსეს გრამატიკით ისწავლა, ისე, რომ არც ერთი ქართული სიტყვა არ გაუგონია, მხოლოდ ქართულს სახარებასა კითხულობდა. წარმოიდგინეთ, რამდენი მეცადინეობა და გულ-მოდგინეობა უნდა გამოეჩინა, და ესეც მაშინ, როდესაც მას ახალგაზდობის საუკეთესო დრო უდგა, როდესაც გარს ათასი საზოგადო გასართობი, თავ-შესაქცევარი და გასამხიარულებელი ახვევია... (იხ. „ივერია“, № 163).

ახლა რაღას იტყვით, ქალბატონნო, მშვენიერნო და არა-მშვენიერნო, ტურფანო და ჰაეროვანნო არსებანო?!... თუ ინგლისელმა ყმაწვილმა ქალმა შესძლო ლონდონში, ქართულის ერთის სიტყვის გაუგონრადაც-კი, ასე ლამაზად შესწავლა ქართულის ენისა, ნუ თუ აქ, საქართველოში, თქვენ არ შეგიძლიანთ ქართული შეისწავლოთ, ის ენა, რომლის „ნანათიც“ ურწევია დედას თქვენი აკვანი, რომელიც დაბადებითვე ყურში გაქვთ ჩაწვეთებული?!.. სდუმთ განა, სდუმთ იმიტომ, რომ აღარა გეთქმით-რა, მაგრამ აქ დუმილი არა კმარა, მიჰბაძეთ ჩქარა თქვენს უცხოელს დას, შეისწავლეთ ქართული ენა და თქვენც განითავისუფლეთ თავი სირცხვილისაგან და ჩვენი ქვეყანაც ააშორეთ სირცხვილი.

საიდუმლოდ ერთს ამბავსაც გეტყვით. როგორც ყური მოვკარით, ქართველ ყმაწვილს კაცებს, რომელთაც-კი Miss მარჟორი ვარდროპის წერილი წაუკითხავთ, გადაუწყვეტიათ, რომ არც ერთი ქართველი ქალი არ შევირთოთ, თუ საფუძვლიანად არ იცის ქართული ენაო.

ეხლა რაღას იტყვით, ნუ თუ არც ეს გასჭრის?!.

ჩიორა

---

## კორესპონდენცია

**მცხეთა:** მცხეთის გლეხთა ცხოვრებაში ერთი ამბავი დატრიალდა. აქ უბრალო უსიამოვნება მოუვიდათ ერთმანეთთან ორს გლეხს—ახალგაზდას სანდრო გოგებოვს, რომელსაც მეტ სახელს ჭეჭეს ეძახიან, და ხანში შესულს დავით ხატისოვს. ეს ამბავი 7 აგვისტოს მოხდა. მაშინვე გოგებოვი დაემუქრა ხატისოვს, მე თუ ერთი ოინი არ გიყო და რა ბიჭი ვიქნებიო. ასე დაემუქრა თვით კანცელარიაშიაც-კი, რის გამოც მამასახლისმა გოგებოვი დააპატიმრა. იმავე დღეს დავით ხატისოვმა, რომელსაც ცოლი გარდაეცვალა და სახლში მხოლოდ ბაღანეები ლა ჰყავს, სხვათა შორის, ერთი თხუთმეტის წლის ქალიშვილიც, ქალაქში წაიღო კირი ქირით. ამ კაცის ახალგაზდა ქალმა, ამ ამბის გამო, მარტო დარჩენა ველარ გაბედა და მეზობლის 13 წლის ქალი მიიწვია თავისთან. ამ დროს ჭეჭე თავდებობით გამოუშვეს თურმე ღ იმავე საღამოს, როდესაც მთელმა სოფელმა დაიძინა, შეიპარა თავისის მტრის სახლში ბოსლიდგან, რაზა გასტეხა და შევიდა, მაგრამ მეზობლის ქალს გამოეღვიძა, ამან მეორეც ფეხზედ წამოაყენა, შეჰქმნეს ყვირილი და დააფრთხეს ბოროტ განმზრახველი. ეხლა ხატისოვი ყოველ დღე შიშშია, თავს არ დამეცესო და უბედურება არა დამმართოს-რაო. იჩივლა ბოქაულთან, მაგრამ აგერ ერთი თვე გადის და პასუხი არა მოსვლია-რა, ამ რამდენისამე დღის წინად მამასახლისმა გამოუცხადა, რომ შენი საქმე ჩააფუჩეჩესო. როგორც შევიტყვეთ ხატისოვს ეხლა უმაღლესს ადმინისტრაციისათვის მიუმართავს.

---

**ქუთაისი:** აქ ქართულ თეატრში წარმოდგენები დაიწყება კ. მესხის რეჟისორობით 18 სექტემბერს. ამ დღეს წარმოდგენილი იქმნება გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“ ფამუსოვის როლს შეასრულებს ვ. ა. აბაშიძე, რომელიც, როგორც ამბობენ, მთელის სეზონით არის მოწვეული ქუთაისში.

მომავალ სეზონს განზრახვა აქვთ ქუთაისში შემდეგი პიესები წარმოადგინონ:

ვაი-ჭკუისაგან—გრიბოედოვისა
დონ-ჟუანი } კომედიები მოლიერისა.
ფარისეველი }
გენრი III, დრამა დიუმა-მამისა
რუი-ბლას—ვ. ჰუგოსი
მედეა—ტრაგედია სუვორინისა
რიჩარდ III—შექსპირისა
დენიზა—დიუმა შვილისა
მარია სტიუარტ—შილლერისა
მექარხნე—ჟ. ონესი

ამას გარდა ამავე სეზონში წარმოდგენილი იქნება ახალი პიესები აკ. წერეთლისა, დ. ა. მიქელაძისა, ა. ცაგარლისა, ზ. ჭიჭინაძისა და კ. ს. მესხისა.

საზოგადოდ დასს შეადგენენ:

არტისტი ქალნი: ნ. მ. გაბუნია-ცაგარელისა (გასტროლი), ე. ს. მესხი, ნ. პ. მესხისა, ქალ. მძინაროვისა (ახლად მოწვეული), ნ. პ. ჩხეიძისა, ქალ. თვალაძისა (ახლად მოწვეული) და სხვ.

არტისტნი-კაცნი: ვ. ა. აბაშიძე (სეზონით), ვ. გუნია (გასტროლი), ნ. ზ. ბადრიძე, დ. ს. მესხი.

ახლად მოწვეულნი: ალ. ნებიერიძე, კ. ა. კვარელი, ბ. თამაზიშვილი, ბ. თელაველი და სხვ.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზეთ „რუს. ჟიზნ“-ში დაბეჭდილია შემდეგი წერილი ერთის აკადემიკოსისა:

---

მწერლები კოჭლობენ შ. არაგვისპირელის გარდა და, ამ მხრივ, არაფერი ახალი და მოულოდნელი არც თ. ერისთავს შემოუტანია. ამიტომ, რადგანაც იმათი მოთხრობები მარტო სიუჟეტზეა აგებული, რომელიც ამა თუ იმ მორალურ ტენდენციის გასაყვანად არის აღებული, ეს სიუჟეტი მაინც უნდა სხვა-დასხვაობდეს. რა უშავდა, მაგალითად, თ. ერისთავს, იგივე სიუჟეტი აეღო, მაგრამ სხვა წოდების კაცები გამოეყვანა მოქმედ-პირებად, ან უმაღლესი წოდებისა და ან ინტელიგენციისა. ეს უფრო საინტერესო იქმნებოდა, რადგან ჩვენში მოთხრობა ამ წოდებათა ცხოვრებიდგან ძალიან ცოტაა. უფერულობას მოთხრობისას ვერ შველის ვერც მისი მრავალ-აზროვანი სახელი «ვისი ბრალია?» მართლაც, ვისი ბრალია ნესტორის გარყვნა და საწყალის დათიკას ოჯახის დაღუპვა? რასაკვირველია, საზოგადოებისა და გარემოებისა, რომელიც ზედ ერთვის სულიერს გარყვნილებას ნესტორისას, მაგრამ ესეც ვერ არის მთლად ნათლად ნაჩვენები.

თეოლოგიურ მორალის წარმომადგენელია „მოამბის“ სიტყვა-კაზმულს მწერლობაში ან. ერისთვისა, თუმც შინაარსი მისი მოთხრობისა თითქმის იგივეა, რაც ბ-ნ არაგვისპირელის მოთხრობისა (ამითი ის მინდა ვსთქვა, რომ ერთი და იგივე დანაშაულობა არის აწერილი, ე. ი. ადიულტერი ანუ მრუშება). მაგრამ სწორედ მისთვის, რომ სხვა ნაირი სასჯელი აქვს მინიჭებული დამნაშავეს, მოთხრობაც უფრო სხვა ნაირ ინტერესს იწვევს. სოფლის გლეხს მიტროს ჰყავს ლამაზი ცოლი ირინე. ირინეს ყმაწვილობაში უყვარდა ზურია, ნათლული თავისის მამისა. ზურიასაც ძლიერ უყვარდა ირინე, მაგრამ რადგან ხალხის ჩვეულების წინაალმდეგი იქმნებოდა მათი დაქორწინება, ამიტომ ამათ ამ ფიქრს თავი დაანებეს... უკეთა ვსთქვათ, გადასწყვიტეს ეს ფიქრი თავიდამ მოეშორებინათ, მაგრამ ბუნებისა და უბედურების წინაალმდეგ ვერა გააწყვეს რა. ირინეს ძალით მიათხოვებენ მიტროს.

ერთხელ ზურია ჩამოვა ირინეს ქმრის ოჯახში. გრძნობით გატაცებულს ზურიას ყველაფერი დაავიწყდება: «ამან შემოხვია ათრთოლებული ხელები ქალს, რომელსაც უნდოდა გაბრძოლება, მაგრამ ველარ მოახერხა; ესეც დაითრო, ლონე წაერთო, მოხუჭა თვალები რამდენსამე წამს და ამათი ტუჩები ტკბილად შეეწებნენ ერთმანეთს... ბავშვის ტირილმა გამოაფხიზლა შეყვარებულები, გონზედ მოიყვანა“. თუ აქამდის ისინი მარტო ერთი ცოდვის ჩადენას ერიდებოდნენ, ეხლა ორი მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. ნათელ-მირონობასაც უღალატეს და ოჯახის სიწმიდეც შებღალეს. რასაკვირველია იგინი დაუსჯელად არ დარჩნენ, მაგრამ აქ მათ სჯის არა საზოგადოება და ან საზოგადოების წევრი, არამედ ზეციერი განგება. ზურიას მეხი დაეცემა და მოჰკლავს და ამის მნახველი ირინე-კი ჭკუაზე შესცდება. „ღმერთმა ხელი აიღო იმათზედ“, როგორც ამბობს ავტორი. ზნეობის დამცველმა ღმერთმა დასაჯა დამნაშავენი.

აი სადა სჩანს სარწმუნოებრივი მორალი თ. ერისთავის ასულისა. თუ ბ-ნი არაგვისპირელი და თ. ერისთავი ზნეობრივ კანონების დამცველად ჰხდიან საზოგადოებას, კნ. ერისთვისა ზნეობისა და საზოგადოების დამცველად ჰხდის სარწმუნოებას. ამაშია ორიგინალური მხარე მისის თხზულებისა. ხელოვნების მხრით-კი, რასაკვირველია, ორივე მწერლის ნაწარმოებს სჯობია ბ ნ არაგვისპირელის მოთხრობა, თუმცა ზოგიერთს ადგილს ანასტ. ერისთვის მოთხრობისას ალტაცებაში მოჰყავხართ. ეგრეთია, მაგალ. პირველი ფურცელი მოთხრობისა. ყოველს შემთხვევაში სამივე მოთხრობა დიდის სიამოვნებით იკითხება და იმათი კითხვა სულის საზრდოს იძლევა, სწორედ იმიტომ, რომ მორალური ტენდენცია კარგად არის გატარებული.

ჩვენ მხოლოდ ის მიგვაჩნია სამწუხაროდ, რომ არც ერთი დღევანდელი ჩვენი მწერალი თავის მოთხრობების სიუჟეტად არ იღებენ ინტელიგენტთა წრეს. ნუ თუ ჯერ ჩვენში ინტელიგენტთა საზოგადოების ცხოვრება იმდენად უმნიშვნელო და უფერულია, რომ არ იძლევა სიუჟეტს მოთხრობისათვის. არა მგონია, უფრო იმასა ვფიქრობ რომ, ეს არის მხოლოდ შედეგი „Народничество“-ბით გატაცებისა და იმის ბრალიც არის, რომ დღევანდელი მოთხრობანი შინაარსით სულ ერთი მეორეს ჰგავს. ამის ბრალია ისიც, რომ ტიპები უფერულია და ფსიხოლოგია ძალიან ღარიბი ახალგაზდა მწერლებთა ნაწარმოებში, რადგანაც მდაბიო ხალხში არ მოიძებნება ისეთი რთული ხასიათი, როგორც გონებით უმაღლესს და უფრო განვითარებულს წრეებში*). აწი მაინც სასურველია, რომ ჩვენმა მწერლებმა სცადონ თავიანთი ძალა ამ სფერაში.

კიტა

---

*) რასაკვირველია, ეს ა. ყაზბეგს არ შეეხება. უნდა ვიცოდეთ, რომ ყაზბეგის ნიჭს შეეძლო ის, რაც უბრალო მომაკვდავს არ ძალ-უძს.

ავტ.

გაზეთებში ეწერა ამას წინად, რომ პეტერბურგის სასულიერო სემინარიის ორს სტუდენტს უმაღლესად ნება დაერთოთ პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლისა. ამ ამბავს დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ გავიხსენებთ შემდეგს. სასულიერო სემინარიების სტუდენტებს ნება აქვთ მხოლოდ ვარშავისა და ტომსკის უნივერსიტეტში შესვლისა; დანარჩენ უნივერსიტეტებში შესასვლელად სასულიერო სემინარიების სტუდენტებმა უნდა მიიღონ გიმნაზიის მოწმობა. ასეთი სასტიკი მოთხოვნილობა სასულიერო სემინარიის სტუდენტებისაგან აიხსნება სულ სხვა გარემოებით. უწმიდესის სინოდის ობერ პროკურორმა მოიწადინა განკარგება სასულიერო წოდებისა და მათი განათლება. სხვა საშუალებათა შორის ობერ-პროკურორმა ეს საშუალებაც იხმარა, აღუკრძალა სემინარიელებს უნივერსიტეტში შესვლა. ამ საშუალებას თავის თავად მოჰყვა დამცირება სასულიერო სემინარიისა. სემინარიაში სწავლა-დამთავრებულმა ეგზამენი უნდა გადაიხადოს და მიიღოს მოწმობა გიმნაზიისა. მაგრამ სემინარიის პროგრამმა არაფრით ჩამოუვარდება გიმნაზიის პროგრამმას და სულ ერთი და იგივეა, საღვთის-მეტყველო საგნები რომ გამოვაკლოთ. მაშასადამე შეიძლება სინოდმა მხოლოდ ის მოისურვოს, რომ სასულიერო წოდებიდგან არავინ გადავიდეს სხვა წოდებაში, მაგრამ არც ეს სურვილი იქმნება სამართლიანი, რადგანაც მაშინ სხვა წოდებიდგან სასულიერო წოდებაში გადასვლაც უნდა აღიკრძალოს, თუმცა ასეთი განკარგულება არავის მოსვლია ფიქრად. რადგანაც სასულიერო წოდებაში უოველთვის მიიღებენ ხოლმე, დიდის სიამოვნებითაც სხვა წოდებიდგან ამ წოდებაში გადასვლის მსურველს, ამიტომ ჩვენ დიდად გვიხარიან ის ამბავი, რომ სემინარიელებს ნება მიეცათ პეტერბურგის უნივერსიტეტში შესვლისა და დიდად სასიამოვნო იქმნებოდა, რომ ასეთი უფლება სემინარიის ყველა სტუდენტს მიენიჭოს.

# უცხოეთი

**კორეის ომი.** ზოგიერთ გაზეთებში დაბეჭდილია ... ბანი იმ კავშირისა, რომელიც შეჰკრეს იაპონიამ და კორეამ. აი ეს პირობა:

ა. საგანი კავშირისა—მიენიჭოს კორეს დამოუკიდებლობა, უზრუნველ იქმნას მისი თავისუფლება, დაიცვან ინტერესები ამ ორსავე ქვეყნისა და განდევნონ ჩინეთის ჯარი.

ბ. იაპონია კისრულობს ყოველ გვარ ზრუნვას ჩინეთის წინააღმდეგ საგერ-სატევ ომისთვის.

კორეაც თავის მხრივ მოვალეა დაეხმაროს იაპონიას ყველა ზემოხსენებულ საქმეში.

გ. ამ პირობას ძალა უნდა ჰქონდეს იმ დრომდე, ვიდრე მტრობა არ მოისპობა იაპონიასა და ჩინეთს შორის.

**ბელგია.** ბრიუსელის ერთი გაზეთი იუწყება: ამ დღეებში პოლიციამ აღმოაჩინა, რომ ანარქისტებს დიდი შეთქმულობა ჰქონიათ. დაპატიმრებულ იქმნა მრავალი ანარქისტი ერთს სახლში, სადაც ისინი საიდუმლოდ იკრიბებოდნენ. დაპატიმრებულთა შორის არის ერთი ანარქისტი, რომელსაც თურმე ბელგიის მეფის ლეოპოლდის მოკვლა უკისრნია.

**პოლონელნი პრუსიაში.** ამას წინად ბრომბერგის ოლქში ერთმა პოლონელმა თავადიშვილმა და მემამულემ გაჰმართა საჯარო პატივისცემა კოსტიუშკოსი. დარბაზი, რომელშიაც შეიკრიბნენ კოსტიუშკოს პატივისმცემელნი, მორთული იყო გერბებითა და ბაირაღებით. ამ დღესასწაულის გამმართველმა სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის სთქვა: „თქვენ პოლონელნი ხართ და პოლონელებად უნდა დარჩეთ და თუ საჭიროება მოითხოვს, დაიცვათ თქვენი ერი ცულებით, ცელებით და რკინის კეტებით. მეფე ჩვენ ეხლა არა გვყავს. უწინდელ დროს მეფის უფლება ამ გვარ შემთხვევაში არქიეპისკოპოსს ეკუთვნოდა ხოლმე და ეხლაც არქიეპისკოპოზი უნდა მიგაჩნდეთ მეფედ.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს შეუთხზავს ლექსი, ლექსისთვის თვითონვე მუზიკაც დაუწერია და გაუგზავნია იტალიის დედოფალ მარგარიტასი ვის. შინაარსი ამ ლექსისა ქება-დიდებაა ჰუმბერტოს მეუღლისა. ლექსი იმ გვაროთი არის დაწერილი, როგორც სწერდნენ საშუალო საუკუნეთა მინეზინგერები.

**

კორეს მეფის სასახლეშიაც მოხდა უთანხმოება. კორეს მეფემ დაითხოვა თავისი ცოლი სეულიდგან. დედოფალი ჩინეთის ერთის მძლავრის ოჯახის ქალია და ამიტომ იგი იყო უმთავრესი მიზეზი კორეში მომხდარ უთანხმოებისა. ეს ამბავი ასე მოხდა: როცა კორეს მეფემ თავის მამას მიჰმართა, მიშველეო, მამამ უბრძანა, უპირველეს ყოვლისა შენი ცოლი უნდა დაითხოვოო. მეფე ჯერ არ სთანხმდებოდა ამაზედ. მაშინ მამამა ჰკითხა: რას ირჩევ, ერთი მადლიერი ცოლი გყავდეს და მთელი ერი უმადური, თუ ერთი უმადური ცოლი და მთელი ერი მადლიერიო. მეფემ უპასუხა: „ჩემის ერის კეთილდღეობისათვის მზად ვარ ჩემი სიცოცხლე შევსწიროო. მეფის მამამ მაშინ იკისრა მართვა კორესი და მისი პირველი ბრძანება იყო დედოფლის ნათესავებს, ფინანსთა და გარეშე საქმეთა მინისტრებს და კორეს ჯარის სარდალს და მათ მოხელეთ ჩამოერთვეს ყველა უფლება და ერთს შორეულს კუნძულზედ გაიგზავნონ.

# განცხადებანი


გამოვიდა დ̄ ისყიდება

**კრებული**

მოთხრობებისი

თარგმანი

ა. ნიკიტინისა

წიგნი პირველი

ფასი სამი შაური

(10—მ—3)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ფ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა— ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

მ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

ვ. ა. აბაშიძის გამოცემა

გამოვიდა დ̄ ისყიდება

**პანთეონი**

ქართულის თეატრისა

წიგნი I

შინაარსი:

იქვიანი—ვოდევილი 1 მოქმ.

ბნელს ოთახში—ვოდ. 1 მოქმ.

ახირებულია—ვოდ. 1 მოქმ.

ფასი 30 კაპ.

(10—მ—5)

ხარკოვში

„რიბნი“ ქუჩაზედ

გაიმართა სასტუმრო

**„რუფა“**

დიდად მოხერხებულია, და იაფი.

საუკეთესო სამზარეულო აქვს ხარკოვში.

სასტუმროსთან არის გამართული უმთავრესი საწყობი რიგას ლუდის ქარხნის „კალდშმიდოსხენისა“.

ლუდი იგზავნება ყველა ქალაქში. 10—7 (გ 17)

ქუთაისის ამხანაგობის გამოცემა:

გამოვიდა და დაურიგდა მაღაზიებს გასასყიდად

ჩვენი ცხოვრების

**ყვავილი**

ა. წერეთლის თხზულებანი

II ტომი

ფასი სამი აბაზი

(3—მ—3)

Maison HERMANN-LACHAPELLE, J. BOULET & C-ie, SUCC-rs

31 et 33 Rue Boinod, პარიჟი.

4 ოქროს მედალი აქვს მიღებული, 1889 წ. მსოფლიო გამოფენისა, ჯვარი საპატიო ლეგიონისა 1888 წელს.

**ხელობადა აქვს ორთქლის მაშინების კეთება.**

| განიერი ნახვრად მოძრავი | მაღალი ნახვრად მოძრავი | მოგრძო უძრავი |
| --- | --- | --- |
| ორთქლის ქვაბები, რომელსაც ბოლისათვის მიხვეულ-მოხვეული ასავალი აქვს, ორის ცილინდრით, 4-დგან 100 ცხენის ძალით. | 1-დგან 100 ცხენის ძალით. | 1 ანუ 2 ცილინდრით 3-დგან 250 ცხენის ძალით |



ორთქლის მაშინები ელექტრონის სინათლის დასადგენად.

პრეის-კურანტები უსასყიდლოდ იგზავნება.

(6—31—6)

დამზღვევი საზოგადოება

**„იაკორი“**

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—44)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელი მეცამეტე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1894—95 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით. 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარულის შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყეს 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩაზედ, ხოჯთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ფ. მანუელიანცს, ტფილისს.

(24—1297—18)


Дозволено цензурою Тифлисъ, 10-го Сентября 1894 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.